# საქართველო
# ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულო

# განკარგულება

N 50 64 19/12/2019

**ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, სოფელ ღორეშაში მდებარე შენობის 96.22 კვმ ფართის (ს/კ 36.06.32.341.01.501) სახელმწიფოსათვის უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 108 -ე მუხლისა და საქართველოს კანონის " საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" 61 - მუხლის პირველი, მე-3, -6 და მე - 7 პუნქტის საფუძველზე

**ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:**

**მუხლი 1.**სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მიმდინარე წლის 01 ოქტომბრის N5/58112 მომართვის თანახმად **ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სოფელ ღორეშაში მდებარე შენობა 96.22 კვმ ფართი, (ს/კ 36.06.32.341.01.501) გადაეცეს სახელმწიფოს საკუთრებაში, უსასყიდლოდ, შემდგომში სსიპ „იუსტიციის სახლისათვის" გადაცემის მიზნით.**

**მუხლი 2.** დაევალოს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესითა და ფორმით უზრუნველყოს აღნიშნული ქონების სახელმწიფო საკუთრებად რეგისტრაციისთვის შესაბამისი სამართლებრივი პროცედურების განხორციელება.

**მუხლი 3** ძალადაკარგულად გამოცხადდეს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 06 მარტის N50/24 განკარგულება „**ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული სოფელ ღორეშაში არსებული შენობის პირველ და მეორე სართულზე მდებარე 119.99კვმ. ფართის (ს/კ 36.06.32.341) 30 წლის ვადით უსასყიდლო უზუფრუქტის წესით საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოსათვის გადაცემის თაობაზე მუნიციპალიტეტის გამგებლისათვის თანხმობის მიცემის შესახებ"**

**მუხლი 4.** განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერის დღიდან.

**მუხლი 5.** განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კანონის ,,საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" 180 -ე მუხლით დადგენილი წესით.

მანანა ზარზაქაძე

საკრებულოს თავმჯდომარე